საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. თბილისი "26" 07 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 919/ბ

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 9 ივლისის N 67961/03 განცხადებით შპს „ენგადი"–ის (მის: სოფელი დიღომი, მიწის ნაკვეთი 034/546, 0131 თბილისი, საქართველო) დირექტორმა თამარ შარაშიძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „VELO" (რეგ. N 22804) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „VELO" (რეგ. N 22804) საქართველოში რეგისტრირებულია 26.07.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 26.07.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე, 30-ე და 32-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „VELO" (რეგ. N 22804) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო

ასლი დედანთან სწორია
"26" 07 2012 წ.
ხელმოწერა

0114, თბილისი, რუსთაველის გამზ. №30; ტელ.: (+995 32) 225-25-33; ტელ./ფაქსი: (+995 32) 298-64-19; E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 78, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.07.2012).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტს; შპს „ენგადი"–ის დირექტორს თამარ შარაშიძეს (მისამართი: სოფელი დიღომი, მიწის ნაკვეთი 034/546, 0131 თბილისი, საქართველო).

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 22804

მფლობელი: შპს „ენგადი“

სოფელი დიღომი, მიწის ნაკვეთი 034/546, 0131, თბილისი

კლასი: 29 - ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ბოსტნეული და ხილი; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები.

30 - ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.

32 - ლუდი; მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები.